

ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) გიგა გიგაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „გრინსერვისი +“ (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა ფურცხვანიძის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,

ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც განსაზღვრულია მიმწოდებლის სამუშაოების ხარჯთაღრიცხვასა და ტექნიკურ დავალებაში, რომლებიც დანართების სახით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 ნაზავის ქიმიური მახასიათებლები - დანართი N01, შეტანილი ნიადაგის ნოყიერი ნაზავის შემადგენელი კომპონენტების გადანაწილება - დანართი N02 და განათების ქსელის ტექნიკური დავალება - დანართი N03, დანართების სახით თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.3 შესყიდვის საშუალება - ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.

2.4 ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე განცხადების ნომერი: №NAT210017848.

2.5 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 11 799 880,66 (თერთმეტი მილიონ შვიდასოთხმეცხრამეტი ათას რვაასოთხმოცი ლარი და 66 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.6 კლასიფიკატორის კოდი - 45240000 - ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა.

2.7 ხელშეკრულება ძალაში შედის 2021 წლის 22 ოქტომბრიდან და ძალაშია 2025 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 სამშენებლო სამუშაოების მიწოდების ვადა - ეტაპობრივად, სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 510 (ხუთას ათი) კალენდარული დღე (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით).

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, წარმოადგინოს და შემსყიდველთან შეთანხმდნენ სამუშაოების წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს კალენდარული გეგმა-გრაფიკის შეთანხმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში ობიექტზე სამუშაოები აწარმოოს 24 საათიან რეჟიმში.

3.5 მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ვაკის პარკის ტერიტორია.

3.6 მიწოდებული საქონელი და სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების დანართებით მოთხოვნილ პარამეტრებს.

3.7 მიმწოდებელმა საჭიროების შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება შემსყიდველთან შეთანხმებით.

3.8 მიმწოდებელი ვალდებულია ჩასატარებელი ჰორიზონტალური ბურღვის სამუშაოს დაწყებამდე, საკუთარი ხარჯებით შეისწავლოს მიწისქვეშა კომუნიკაციების მდებარეობა და შემდეგ განახორციელოს აღნიშნული სამუშაო.

3.9 საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ნიადაგის ნოყიერი ნაზავით ორმოს შევსება (ნიადაგის სუბსტრატის პარამეტრები (ქიმიური თვისებები) (დანართი N01).

3.10 მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულებისას უნდა უზრუნველყოს წყლისა და კანალიზაციის ცენტრალურ მაგისტრალზე დაერთების ხარჯები, ვალდებულია სამუშაოების დასრულებისას საკუთარი ხარჯებით დაფაროს ყველა არსებული დავალიანება და სამუშაოების წარმოებისას დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღადგინოს არსებული ინფრასტრუქტურა.

3.11 მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს სამშენებლო ობიექტებზე ამოჭრილი საკონტროლო კერნების სიგარიელების შევსება ცივი ან ცხელი ა/ბეტონის ნარევით.

3.12 მიმწოდებელი ვალდებულია, სამშენებლო პროცესებიდან გამომდინარე, შემსყიდველთან შეთანხმებით შექმნას უსაფრთხოების სქემები და შეთანხმდნენ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან. მიმწოდებელი ვალდებულია განათავსოს საგზაო ნიშნები, საგზაო ბარიერები და მოძრაობის რეგულირების ნიშნები დამტკიცებული სქემის

შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს სხვა ზომები, რომლებსაც მოითხოვს სარეაბილიტაციო სამშენებლო სამუშაოები.

3.13 მიმწოდებელმა ასევე უნდა წარმოადგინოს მწარმოებლის მიერ გამოცდილი ნიმუშების ქარხანაში ჩატარებული ანალიზისა და ლაბორატორიული გამოცდის მონაცემები. მწარმოებლის მიერ ნიმუშების აღებისა და გამოცდის სიხშირე უნდა პასუხობდეს შესაბამის სტანდარტებს.

3.14 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა ყოველი კონკრეტული სამუშაოების დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს პროექტით გათვალისწინებული ტექნიკური მახასიათებლებთან შესაბამისობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია ან/და ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერთიფიკატი.

3.15 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში მიმწოდებელმა ასევე უნდა წარმოადგინოს ყველა იმ მასალის ნიმუშები, მწარმოებლის ტექნიკურ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც გამოყენებულ იქნება ძირითად სამუშაოებში.

3.16 ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს მაღალკვალიფიციური მუშახელის მეშვეობით. უნდა აწარმოოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი, გამოსაყენებელი მასალების (ყოველ პარტიასთან ერთად) ლაბორატორიული გამოცდები და წარუდგინოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს გამოყენებული მასალა-ნაკეთობების, მოწყობილობების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ლაბორატორიული დასკვნები, სერთიფიკატები, ქარხნული გამოცდის მონაცემები და სხვა) (უცხოენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში ნათარგმნი, ნოტარიულად დამოწმებული).

3.17 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით; სამუშაო ადგილის ფარგლებში მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედება, მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა.

3.18 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების წარმოებისას დაიცვას უსაფრთხოების ნორმები და საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს პერსონალი ერთნაირი სპეც. ტანსაცმლით და ჩაფხუტებით.

3.19 სამუშაოთა დასრულების შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყონებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან და ა.შ.

3.20 მიმწოდებელმა ობიექტზე თვალსაჩინო ადგილას, მყარ კონსტრუქციაზე (დგარი) უნდა განათავსოს მინიმუმ 2 ცალი საინფორმაციო დაფა ზომით 200სმ X 150სმ, ესკიზების შესაბამისად.

3.21 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენები (ინერტული) განათავსოს მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალურად საამისოდ გამოყოფილ ადგილზე, თბილისის ტერიტორიაზე განთავსების შემთხვევაში - გლდანის რაიონი, თბილისის შემოვლითი საავტომობილო გზის მე-15 კმ.

3.22 მიმწოდებელს სამშენებლო სამუშაოების ადგილზე საჭიროებისამებრ უნდა გააჩნდეს სატენდერო დოკუმენტაციის 2.3.1 პუნქტით განსაზღვრული საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მანქანა-მექანიზმების საკუთრების ან/და სარგებლობის უფლების შესახებ ინფორმაციის სისწორის გადამოწმება შემსყიდველს შეუძლია ნებისმიერ დროს.

3.23 ტექნიკური დავალება, ნაზავის ქიმიური მახასიათებლები - დანართი N01, შეტანილი ნიადაგის ნოციერი ნაზავის შემადგენელი კომპონენტების გადანაწილება - დანართი N02, განათების ქსელის ტექნიკური დავალება - დანართი N03, ბანერის შაბლონი, ბანერის კონსტრუქცია და სამუშაოების განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამონათვალი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

#### 4. შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

4.1 შესრულებული სამუშაოს, მათ შორის დეკორატიული სანათის ნათურების საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.

4.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

4.3 სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დაკავებული იქნება 5%. დაკავებული 5%-დან 2,5%-ის გადახდა განხორციელდება სამუშაოს სრულად დასრულებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო დარჩენილი 2,5%-ის გადახდა მოხდება ხარვეზების აღმოფხვრის და საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.

4.4 მიმწოდებლის მხრიდან, საგარანტიო პერიოდის სრული ვადის ამოწურვამდე, დარჩენილ 2,5%-ზე უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს თანხის გადახდა. გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების ხარისხის საგარანტიო ვადას.

4.5 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების 4.2 პუნქტის მოთხოვნებს მაშინ 4.3 პუნქტით განსაზღვრული დარჩენილი 2,5% არ ანაზღაურდება.

4.6 თუკი ხელშეკრულების საგარანტიო პერიოდის ვადის გასვლამდე გამოვლენილი ხარვეზების შედეგად შემსყიდველს მიადგა ზარალი დარჩენილ 2,5%-ზე მეტი ოდნობით, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს შესაბამისი ნარჩენი ღირებულება ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები ხოლო ტექნიკურ ზედამხედველობას ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია.

5.3 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს სამუშაო პროცესის ზედამხედველობა.

5.4 შესრულებული სამუშაოების კალენდარულ გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი პერიოდულად ახორციელებს ინსპექტირებას, რაზედაც წინასწარ ატყობინებს მიმწოდებელს. ინსპექტირების შედეგები აისახება შესაბამის ოქმში.

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით. მათ შორის: აწარმოოს სამუშაოების ხარისხის კონტროლი, გამოსაყენებელი მასალების ლაბორატორიული გამოცდები და მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს გამოყენებული მასალა-ნაკეთობების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ლაბორატორიული დასკვნები, სერტიფიკატები და სხვა). შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა ყოველი კონკრეტული სამუშაოს დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს პროექტით გათვალისწინებული ტექნიკურ მახასიათებლებთან შესაბამისობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია ან/და ხარისხის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი.

5.6 მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.

5.7 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ამასთან შესრულებული სამუშაოების (ან მისი ნაწილის) დასრულების თარიღად ჩაითვლება ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის თარიღი.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის (მთლიანი ან ნაწილობრივ შესრულებულ სამუშაოებზე) გაფორმებისას, შემსრულებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით წარმოადგინოს ფორმა #2 და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნა შესრულებული სამუშაოებისა და მიწოდებული პროდუქციის ხელშეკრულების პირობებთან და პროექტთან შესაბამისობაზე და ხარისხზე, როგორც ხილულ, ასევე ფარულ სამუშაოებზე. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება დადებითი დასკვნის შემთხვევაში.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე შესაბამის ორგანიზაციას გადააბაროს ხელშეკრულების ფარგლებში მოწყობილი სარწყავი სისტემა, შემდგომი მოვლა-პატრონობის მიზნით;

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს ფაქტიურად მოწყობილი ელ. ქსელის საშემსრულებლო ნახაზი, დამიწების კონტურის გაზომვისა და უსაფრთხოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მოწყობილი ქსელი შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით გადააბაროს შესაბამის ორგანიზაციას. ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება გადაბარების შემდეგ.

6.5 შეტანილი ნოყიერი ნიადაგის ნაზავი უნდა იყოს შესაბამისობაში დანართში მითითებულ პარამეტრებთან. მიმწოდებელმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ლაბორატორიული დასკვნა შეტანილი ნოყიერი ნიადაგის ნაზავის სატენდერო დოკუმენტაციით (დანართი NO1-ის მიხედვით) გათვალისწინებულ პარამეტრებთან შესაბამისობის შესახებ.

6.6 იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობების ცვლილება არ იწვევს ხელშეკრულების ღირებულების გაზრდას, აღნიშნული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს (დაზუსტდეს), აღმოჩენილი შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ პირ(ებ)თან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

6.7 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების დადებასთან დაკავშირებული

ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით განსაზღვრული პირ(ებ)ი.

6.8 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

#### 7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2021-2022-2023 წლების ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით (2021 წ. – 3 000 000,00 ლარი; 2022 წ. – 7 841 854,00 ლარი; 2023 წ. – 958 026,66 ლარი), ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში

7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინების მიღებიდან 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ ანგარიშსწორებამდე მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა დაუქვითოს მიმწოდებელს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) არ გამოიყენება.

#### 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახით - უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

8.2 მიმწოდებელს მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

#### 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

*(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)*

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა (გარდა სამუშაოების დაწყების ვადის და მიწოდების საბოლოო ვადის დარღვევისა) ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.3 კალენდარული გეგმა-გრაფიკის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში შემსყიდველთან წარმოდგენლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.4 კალენდარული გეგმა-გრაფიკის შეთანხმებიდან სამუშაოების დაწყების 3 (სამი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.5 ინსპექტირებისას სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკის არაჯეროვანი შესრულების დაფიქსირების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.6 იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მიერ სამუშაოების ზედამხედველობის დროს განხორციელებული ინსპექტირებისას დადგინდება, რომ მიმწოდებელი აღნიშნულ მომენტში არ ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს, მიმწოდებელი დაჯარიმდება ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.7 მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.8 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ.

9.9 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

9.10 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,02 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.11 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

10.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ კალენდარული გეგმა-გრაფიკის შეთანხმებიდან სამუშაოების დაწყების 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

ბ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს დასრულების ვადის 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

დ) სამუშაოების ზედამხედველობის დროს განხორციელებული ინჰექტირებისას ორჯერ გამოვლენილი ფაქტის შემთხვევაში, როდესაც მიმწოდებელი არ ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ე) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

ზ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 3.22 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

10.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შედავათები არ ვრცელდება.

11.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოანახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 12. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

12.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

12.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმადე დაყვანა.

12.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.

12.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

## 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2 სამუშაოების წარმოების პროცესში, სამუშაოს ახალი პოზიცი(ებ)ის წარმოქმნის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ანაზღაურება განხორციელდება სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნით განსაზღვრული ახალი პოზიციის ერთეულის ფასის ფარგლებში, ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

13.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 14. ღირებულება

14.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.

14.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

14.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

14.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

## 15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

15.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: 595 35 50 76; საკონტაქტო პირი: ლაშა ფურცხვანიძე; ელექტრონული ფოსტა: info@greenservice.ge

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: 599 22 77 01; საკონტაქტო პირი: ლექსო უტიაშვილი; ელექტრონული ფოსტა: lekso.utiaшvili@gipa.ge

15.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

15.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

#### 16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს

16.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს

16.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

16.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

#### 17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

#### 18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია



გიგა გიგაშვილი  
გარემოს დაცვის

საქალაქო სამსახურის პირველადი

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი  
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7

სახელმწიფო ხაზინა

კოდი: TRESGE22

საიდ. კოდი: 204521794

ა/ა GE24NB0330100200165022

მიმწოდებელი

შპს "გრინსერვისი +"

ლაშა ფურცხვანიძე  
დირექტორი

შპს "გრინსერვისი +"

ქ. თბილისი, დიდი ლილო

სს "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

საიდ. კოდი: 406030370

ა/ა: GE16TB7745236040100001

ქ.თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული შადრევნებისა და კასკადის რეაბილიტაციის სამუშაოების კრედიტით ხარჯთაღრიცხვა

	შესასრულებელი სამუშაოები		ღირებულება
1	კასკადისა და შადრევნების სადემონტაჟო სამუშაოები		91,049.24
2	I ბლოკი		190,019.70
3	II ბლოკი		713,649.83
4	III ბლოკი		68,621.25
5	IV ბლოკი		8,023,189.52
6	დენდროლოგია		5,591.73
7	სუსტი დენები		345,011.15
	ჯამი		9,437,132.43
	დროებითი შენობა-ნაგებობა	1%	94,371.32
	ჯამი		9,531,503.75
	გაუთვალისწინებელი სამუშაოები	3%	285,945.11
	ჯამი		9,817,448.86
	ტექ პირობა I - ელ. მომარაგება - I-ბლოკი 80-დან - 100 კვტ. მოხმარებაზე სააბონენტო დაერთება - სემეკის მიხედვით (სამ ფაზიანი).		11,890.00
	ტექ პირობა II - ელ. მომარაგება - II-ბლოკი 120-დან - 150 კვტ. მოხმარებაზე სააბონენტო დაერთება - სემეკის მიხედვით (სამ ფაზიანი).		14,760.00
	ტექ პირობა III - ელ. მომარაგება - IV-ბლოკი 800-დან - 1000 კვტ. მოხმარებაზე სააბონენტო დაერთება - სემეკის მიხედვით (სამ ფაზიანი).		139,400.00
	ტექ პირობა IV - ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელი - IV-ბლოკი D-150 დან 200 მმ . წყლის მოხმარებაზე სააბონენტო დაერთება - სემეკის მიხედვით		16,400.00
	ჯამი		9,999,898.86
	დღგ	18%	1,799,981.80
	სულ ჯამი		11,799,880.66

**შენიშვნა:**

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ერთეულის ფასები არ უნდა აღემატებოდეს დანართი N1-ში მითითებული შესაბამისი ერთეულის ზღვრული ფასების ოდენობას.
- პრეტენდენტის მიერ ხარჯთაღრიცხვა ატვირთული იქნას MS Excel-ის ფორმატის ფაილის სახით, დანართი N1-ის მიხედვით (ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვის განსაფასებელი პოზიციების რაოდენობის 1%-ზე მეტის განუფასებლად წარმოდგენა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას).
- გაუთვალისწინებელი ხარჯი (3%) და დროებითი შენობა-ნაგებობის ხარჯი (1%) არის უცვლელი.
- ტექნიკური პირობების აღების საფასური თელასიდან (სააბონენტო დაერთება - სემეკის მიხედვით (სამ ფაზიანი) ელ. მომარაგება - I-ბლოკი 80-დან - 100 კვტ. - 11890,00 ლარი; ელ. მომარაგება - II-ბლოკი 120-დან - 150 კვტ. - 14760,00 ლარი; ელ. მომარაგება - IV-ბლოკი 800-დან - 1000 კვტ. - 139400,00 ლარი, ტექ. პირობა IV - ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელი - IV-ბლოკი D-150 დან 200 მმ წყლის მოხმარებაზე სააბონენტო დაერთების (სემეკის მიხედვით) საფასური 16400,00 ლარი, სატენდერო წინადადების განფასებისას არის უცვლელი.

შ.პ.ს. „გრინსერვისი +“-ის დირექტორი:  
/ლ. ფურცხვანიძე/





ლოკალური ბარჯთაღირებვა N1  
კასკადისა და შადრენების სადემონტაჟო სამუშაოები

N	დასახელება	განზ.	რაოდენობა	მასალა			ხელფასი			მეკნიზმი			ჯამი
				ზღვრული ერთეულის ფასი	ერთ.	სულ	ზღვრული ერთეულის ფასი	ერთ.	სულ	ზღვრული ერთეულის ფასი	ერთ.	სულ	
1	2 კასკადის სადემონტაჟო სამუშაოები	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	ბილიკის (წითელი ვერის) ფილი დემონტაჟი და გატანა ნაყარში 25 კმ-ის მანძილზე	მ <sup>2</sup>	180.00	0.00000	0.00000	0.00	2.29176	2.29176	412.52	0.74248	0.74248	133.65	546.16
2	ბილიკის ქვეფენილის დემონტაჟი და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე 25კმ-ის მანძილზე	მ <sup>2</sup>	1300.00	0.00000	0.00000	0.00	2.29176	2.29176	2979.29	0.74248	0.74248	965.22	3944.51
3	მორბაივის დემონტაჟი და გატანა ნაყარში 25კმ-ის მანძილზე	მ <sup>2</sup>	1250.00	0.00000	0.00000	0.00	2.29176	2.29176	2864.70	0.74248	0.74248	928.10	3792.80
4	ბაზალტის ბორდიურის დემონტაჟი და გატანა ნაყარში 25-კმ-ის მანძილზე	მ	800.00	0.19200	0.19200	153.60	2.61798	2.61798	2094.38	0.75274	0.75274	602.19	2850.18
5	გრანიტის ბორდიურის დემონტაჟი და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე 25კმ-ის მანძილზე	მ	130.00	0.19200	0.19200	24.96	2.61798	2.61798	340.34	0.75274	0.75274	97.86	463.15
6	გრანიტის ქუდების დემონტაჟი და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე 25კმ-ის მანძილზე	მ <sup>2</sup>	550.00	0.00000	0.00000	0.00	2.94300	2.94300	1618.65	1.95100	1.95100	1073.05	2691.70
7	ბაზალტის ფილების დემონტაჟი და გატანა ნაყარში 25კმ-ის მანძილზე	მ <sup>2</sup>	450.00	0.00000	0.00000	0.00	2.94300	2.94300	1324.35	1.95100	1.95100	877.95	2202.30
8	კედლის გრანიტის ფილების დემონტაჟი და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე 25კმ-ის მანძილზე	მ <sup>2</sup>	7500	0.00000	0.00000	0.00	2.94300	2.94300	22072.50	1.95100	1.95100	14632.50	36705.00
9	კედლის ბაზალტის ფილების დემონტაჟი და გატანა ნაყარში 25კმ-ის მანძილზე	მ <sup>2</sup>	2600	0.00000	0.00000	0.00	2.94300	2.94300	7651.80	1.95100	1.95100	5072.60	12724.40
10	ბაქვის გრანიტის ფილები დემონტაჟი და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე 25კმ-ის მანძილზე	მ <sup>2</sup>	130	0.00000	0.00000	0.00	2.94300	2.94300	382.59	1.95100	1.95100	253.63	636.22
11	მთაჯირის ბაზალტის დგარი ფილების (5მx30x30(სსმ))დემონტაჟი და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე 25 კმ-ის მანძილზე	ცალი	140.00	0.00000	0.00000	0.00	3.42394	3.42394	479.35	0.97353	0.97353	136.29	615.65
12	კიბის გრანიტის ფილების დემონტაჟი და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე 25კმ-ის მანძილზე	მ <sup>2</sup>	230	0.00000	0.00000	0.00	2.94300	2.94300	676.89	1.95100	1.95100	448.73	1125.62
13	კიბის ბაზალტის ფილების დემონტაჟი და გატანა ნაყარში 25კმ-ის მანძილზე	მ <sup>2</sup>	680	0.00000	0.00000	0.00	2.94300	2.94300	2001.24	1.95100	1.95100	1326.68	3327.92
14	განათების ბოძების დემონტაჟი	ცალი	20.00	0.00000	0.00000	0.00	25.00000	25.00000	500.00	0.00000	0.00000	0.00	500.00
15	ტუბოფილისა და დანადგარ-აგრესტის დემონტაჟი და დასაწყობება დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე (იხ. დემონტაჟის პროექტი)	კომპ.	11	4.42000	4.42000	48.62	57.90600	57.90600	636.97	4.39800	4.39800	48.38	733.96
1	მთავარი სატუმრო სადგურის სადემონტაჟო სამუშაოები	მ <sup>2</sup>	125.00	0.00000	0.00000	0.00	0.49200	0.49200	61.50	0.02000	0.02000	2.50	64.00
2	სახურავზე უსანგო თუნუქის ფურცლის დემონტაჟი	მ <sup>2</sup>	29.00	0.00000	0.00000	0.00	9.36000	9.36000	271.44	3.28000	3.28000	95.12	366.56
3	ბეტონის გადასწორვის დემონტაჟი სისქით 20სმ	მ <sup>2</sup>	85.30	0.00000	0.00000	0.00	11.61600	11.61600	990.84	4.22400	4.22400	360.31	1351.15
4	დრუტნაირი ფილის (სიმაღლი 220 მმ) დემონტაჟი	მ <sup>2</sup>	91.50	0.00000	0.00000	0.00	4.68000	4.68000	428.22	0.86400	0.86400	79.06	507.28



I ბლოკი

#	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა			ხელფასი			მექანობი			ჯამი
				ზღვრული ერთეულის ფასი	ერთ.	სულ	ზღვრული ერთეულის ფასი	ერთ.	სულ	ზღვრული ერთეულის ფასი	ერთ.	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
<b>I. სადარბაზო მილის მოწყობა</b>													
1	IV კატ. გრუნტის დამუშავება ექსკავატორით ჩამრის მოცულობით 0.5 მ <sup>3</sup> , გვერდზე დაყრით	მ <sup>3</sup>	1781.00	0.00000	0.00000	0.00	0.12900	0.12900	229.75	1.95114	1.95114	3474.97	3704.72
2	IV კატ. გრუნტის დამუშავება ხელით	მ <sup>3</sup>	90.00	0.00000	0.00000	0.00	17.94000	17.94000	1614.60	0.00000	0.00000	0.00	1614.60
3	დამუშავებული გრუნტის დატვირთვა ავთომტ. და გატანა ნაყარი 25 კვ-ზე	მ <sup>3</sup>	440.00	0.00090	0.00090	0.40	0.12000	0.12000	52.80	16.36890	16.36890	7202.32	7255.51
4	წყალსადენის პოლიეთილენის მილის PE 100 SDR 21 PN8 d=315 მმ შეტენა, მონტაჟი და მილის გამოჩეხვა	მ	156.00	76.34774	7.34774	1146.25	2.07874	2.07874	324.28	0.65600	0.65600	102.34	1572.87
	წყალსადენის პოლიეთილენის მილის PE 100 SDR 21 PN8 d=315 მმ	მ	157.56	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
5	გოფირებული მილის DN/ID SN-8 d=200 მმ შეტენა, მონტაჟი	მ	140.00	17.91252	17.91252	2507.75	1.12700	1.12700	157.78	0.43600	0.43600	61.04	2726.57
	გოფირებული მილი DN/ID SN-8 d=200 მმ	მ	141.40	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
6	დრენაჟის მილზე გარეცხილი ქვის დაწყობა ზომით სმულოდ 300X300მმ (ხელით)	მ <sup>3</sup>	93.48	16.50000	16.50000	1542.42	15.00000	15.00000	1402.20	0.00000	0.00000	0.00	2944.62
	ყორე-ქვა 300X300მმ	მ <sup>3</sup>	102.83	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
7	დრენაჟის მილზე გარეცხილი ქვის დაწყობა ზომით სმულოდ 200X200მმ (ხელით)	მ <sup>3</sup>	102.96	16.50000	1.50000	154.44	15.00000	1.00000	102.96	0.00000	0.00000	0.00	257.40
	ყორე-ქვა 200X200მმ	მ <sup>3</sup>	113.26	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
8	თხრილის შეესება ღორღით, დატკეპნით	მ <sup>3</sup>	115.44	20.46000	20.46000	2361.90	10.68000	10.68000	1232.90	0.00000	0.00000	0.00	3594.80
	ღორღი	მ <sup>3</sup>	126.98	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
9	თხრილის შეესება ადგილობრივი გრუნტით, დატკეპნით	მ <sup>3</sup>	748.80	0.00000	0.00000	0.00	10.68000	3.00000	2246.40	0.00000	0.00000	0.00	2246.40
	ადგილობრივი გრუნტი	მ <sup>3</sup>	823.68	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
10.1	ქვიშის შეტენა, მოტანა, უკუწყარა მილის ქვეშ 10 სმ ზევით 20 სმ, დატკეპნით (დრენაჟისათვის)	მ <sup>3</sup>	127.92	30.80000	30.80000	3939.94	10.80000	10.80000	1381.54	0.00000	0.00000	0.00	5321.47
	ქვიშა	მ <sup>3</sup>	140.71	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
10.2	ქვიშის შეტენა, მოტანა, უკუწყარა მილის ქვეშ 10 სმ ზევით 20 სმ, დატკეპნით (გადამდგველი მილისათვის)	მ <sup>3</sup>	84.00	30.80000	30.80000	2587.20	10.80000	10.80000	907.20	0.00000	0.00000	0.00	3494.40
	ქვიშა	მ <sup>3</sup>	92.40	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
11	თხრილის გადახურვა თიხის კლიტით	მ <sup>3</sup>	62.40	32.85500	3.85500	240.55	39.00000	3.00000	187.20	8.64000	8.64000	539.14	966.89
	თიხა	მ <sup>3</sup>	71.76	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
12	ქვის ანაკრები რკინა-ბეტონის რგოლის მოწყობა d=1000მმ h=1000მმ	ც	17.00	110.08407	110.08407	1871.43	19.97040	19.97040	339.50	8.96784	8.96784	152.45	2363.38
	ბეტონი მ100	მ <sup>3</sup>	0.84	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
13	ქვის ანაკრები რ/ზ პირის ფილის მოწყობა d=1000 მმ	ც	4.00	133.98783	133.98783	535.95	8.98668	8.98668	35.95	4.03553	4.03553	16.14	588.04
	ბეტონი მ100	მ <sup>3</sup>	0.09	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
14	ქვის ანაკრები რკინა-ბეტონის თავსახურის მოწყობა თუჯის მრგვალი ჩარჩო-ხეფით d=1000*1000 მმ	ც	4.00	267.90652	267.90652	1071.63	7.48890	7.48890	29.96	3.36294	3.36294	13.45	1115.03



6	დაპროექტის გლინულის მოცულობა $\varnothing=10$ მმ	მ	30.00	3.37400	3.37400	3.37400	101.22	2.46000	2.46000	73.80	0.08800	0.08800	2.64	177.66
7	დაპროექტის შტანგას მოცულობა (ჯგერისებრი) 20/150088	ც	3.00	23.30800	23.30800	23.30800	69.92	2.34000	2.34000	7.02	0.09600	0.09600	0.29	77.23
	ჯამი						1410.02			127.32			6.35	1543.69
	ზედნადები ხარჯი ელ. სამონტაჟო სამუშაოების ხელფასზე %	65%												82.7593
	ჯამი													1626.45
	ვეგმბიური მოგება %	8%												130.12
	ჯამი 3.1													1756.56
	სანაომი													
1	გარე განათების სანათის მოწყობა LED ნათურით 80 W, მითით 4.5 მ, სამონტაჟო ყუთით	კომპ.	1.00	639.42600	639.42600	639.43	23.89860	23.89860	23.89860	23.90	6.14034	6.14034	6.14	669.46
2	განათების ბოძების დიოდიონ კონსტრუქციების შედგენა ანტი კოროზიული საღებავით ორი ფენა (ერთი ფენის შესაღები ფარობი)	მ	1.83	1.82760	1.82760	3.34	5.30400	5.30400	5.30400	9.71	0.00120	0.00120	0.00	13.05
	800მს სამუშაო													
1	ტრანშეის გათხრა ხელით ქსელის მოსაწყობად	მ	5.00	0.00000	0.00000	0.00	17.50000	17.50000	17.50000	87.50	0.00000	0.00000	0.00	87.50
2	წყვილი ფრაქციის ქვიშის ფენის მოწყობა, დატყენით	მ	5.00	30.80000	30.80000	154.00	10.80000	10.80000	10.80000	54.00	0.00000	0.00000	0.00	208.00
	ქვიშა													
3	გრუნტის უკან ჩაყრა, დატყენა	მ	5.50	0.00000	0.00000	0.00	7.26000	7.26000	7.26000	96.12	0.00000	0.00000	0.00	96.12
4	ზედმეტი გრუნტის დატყენით თვითმცლელგზე და გატანა ნაქროში 25 კმ-ზე	მ	6.76	0.00000	0.00000	0.00	0.09300	0.09300	0.09300	0.63	14.84102	14.84102	100.33	100.95
5	სასიგნალო ლენტის მოწყობა	მ	5.00	0.08475	0.08475	0.42	0.12500	0.12500	0.12500	0.63	0.00000	0.00000	0.00	1.05
	ჯამი					797.19				272.48			106.47	1176.14
	ზედნადები ხარჯი %	10%												117.61
	ჯამი													1293.76
	ვეგმბიური მოგება %	8%												103.50
	ჯამი 3.2													1397.26
	ჯამი III													3153.82

IV. მდინარე ვერედან გაწმენდად წყალსადენის ქსელის მოწყობა

1	სფვალტის საფარის ჩაჭრა	გრძ. მ	1122.00	0.00000	0.00000	0.00	2.50000	2.50000	2.50000	2805.00	0.00000	0.00000	0.00	2805.00
2	სფვალტის საფარის აყრა	მ <sup>2</sup>	785.40	0.31200	0.31200	245.04	1.23000	1.23000	1.23000	966.04	0.00000	0.00000	0.00	1211.09
3	სფვალტის საფარის დაგება (ტყედა ფენა 6სმ, ზედა ფენა 4სმ)	მ <sup>2</sup>	785.40	28.35100	2.35100	1846.48	0.58440	0.58440	0.58440	458.99	0.29171	0.29171	229.11	2534.57
	სფვალტი მსხვილზარცვლოვანი	ტ	112.31	0.00000	0.00000		0.00000	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
	სფვალტი ქვიშოვანი	ტ	74.93	0.00000	0.00000		0.00000	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
	მიტუნი	ტ	0.94	0.00000	0.00000		0.00000	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
4	ქვაფენილის აყრა	მ <sup>2</sup>	142.50	0.00000	0.00000	0.00	3.27210	3.27210	3.27210	466.27	0.00000	0.00000	0.00	466.27
5	ქვაფენილის დაგება ლორის და ქვიშის საფუძველზე (არსებული ქვაფენილი)	მ <sup>2</sup>	142.50	0.95206	0.95206	135.67	6.54420	6.54420	6.54420	932.55	0.32400	0.32400	46.17	1114.39
	ლორი	მ <sup>3</sup>	3.86	0.00000	0.00000		0.00000	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
	ქვიშა	მ <sup>3</sup>	2.28	0.00000	0.00000		0.00000	0.00000	0.00000		0.00000	0.00000		
6	მიწის გათხრა გვირგვინით მეთოდით (კროტი) d=30088	გრძ. მ	43.00	48.00000	48.00000	2064.00	50.00000	50.00000	50.00000	2150.00	45.00000	45.00000	1935.00	6149.00
7	IV კატ. გრუნტის დამუშავება ექსკავატორით, ა/თვითმცლელზე დატყენით	მ <sup>3</sup>	1646.40	0.00108	0.00108	1.78	0.16200	0.16200	0.16200	266.72	2.45788	2.45788	4046.65	4315.15
8	IV გრუნტის დამუშავება ხელით, ა/თვითმცლელზე დატყენით	მ <sup>3</sup>	216.72	0.00108	0.00108	0.23	18.10200	18.10200	18.10200	3923.07	2.45788	2.45788	532.67	4455.97

9	ზედმეტი გრუნტის და ასფალტის ნატეხების გატანა 25-კმ-ზე	ტ	3786.24	0.00000	0.00000	0.00	0.00000	0.00000	0.00000	0.00	7.46000	2.00000	7572.48	7572.48
